საქართველო
GEORGIA

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაცია

RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL ADMINISTRATION

№02/3955 1909 2017წ.

,,factcheck.ge"-ის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ **მანონი ბოკუჩავას**
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27
ტელ: 598508510

ქალბატონო მანონი,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე შემოსული თქვენი წერილის პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2011 წლიდან 2017 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შეჩერდა შემდეგი პროგრამები:

1. ,,რუსთავქალაქობის ღონისძიების პროგრამა".
2. ,,საახალწლო ღონისძიებების პროგრამა".
3. ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა".

პირველ და მეორე პროგრამის ორგანიზებას დღეის მდგომარეობით ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი", რაც შეეხება მესამე პროგრამას, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტრო.

რაც შეეხება რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციის საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია (ს/კ 02.05.05.903 და ს/კ 02.05.06.686) არ წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერია მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს რუსთავის რკინიგზის სადგურზე რაიმე სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წერილის სხვა პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: ,,2" ფურცელი

პატივისცემით,

ლია მეტრეველი ს. მეტრეველი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის
მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური

GEORGIA

Rustavi City Municipality City Hall
Infrastructure, Construction and Amenities Department

N 8030-02
19/09/2017

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ
ქალბატონ **ლია მეტრეველს**

ქალბატონო ლია,

თქვენი15.09.2017 #7957-02 წერილის პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას:

1. ხელშეკრულება # 06/12 10.03.2016წ.
   ქალაქ რუსთავში წმ. ნინოს ქუჩიდან პარკში ჩასასვლელი კიბის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. ღირებულებით 50 740.00 ლარი.

2. ხელშეკრულება #06/80 7.12.2016წ.
   ქალაქ რუსთავში შიდა ეზოებში სკვერების მოწყობის სამუშაოები.
   ღირებულებით 656 970. 61ლარი.

3. ხელშეკრულება #06/40 07.06.2016წ.
   ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე გაზონებისა და ტროტუარების მოწყობის (კორპ #1 და 2-ის მიმდებარედ) სამუშაოები. ღირებულებით 192 760.85 ლარი.

პატივისცემით,

ალექსი ნავროზაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური

2010-2015 წლებში უფასო სასადილოს პროგრამაზე და შ.პ.ს საკალათბურთო კლუბი „რუსთავი 1991“–ისთვის გამოყოფილი დაფინანსება

1. **უფასო სასადილო:**

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
დაფინანსება	592564ლ	793025,60ლ	880000ლ	865700ლ	953000ლ	940000ლ

2. **შ.პ.ს საკლათბურთო კლუბი „ რუსთავი–1991“**

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
დაფინანსება	არ ფინასდებოდა	არ ფინასდებოდა	234068ლ	378000ლ	532450ლ	5797500ლ